გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 187

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურში არსებული მე-5 ქუჩის II-ჩიხის სახელდების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 06 სექტემბრის #20-2023249110 წერილი, რომლითაც მოთხოვილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურში უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მე-5 ქუჩიდან შემავალ გზისთვის, რომლის კოორდინატებია საწყისი X=411813.0723 Y=4635130.41; საბოლოო X=411854.1886 Y=4635028.1798, ჩიხს ჩრდილოეთით ესაზღვრება გზა, სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთები, მდინარე, აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები 66.61.03.441, 66.61.03.106, 66.61.03.398, დასავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები, 66.61.03.068, 66.61.03.069, 66.61.03.185 ეწოდოს მე-5 ქუჩის II-ჩიხი.

იქიდან გამომდინარე რომ, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილები მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიზანშეწონილია საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ემუხლის1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურში არსებული მე-5 ქუჩიდან შემავალ გზას, რომლის კოორდინატებია საწყისი X=411813.0723 Y=4635130.41; საბოლოო X=411854.1886 Y=4635028.1798, ჩიხს ჩრდილოეთით ესაზღვრება გზა, სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთები, მდინარე, აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები 66.61.03.441, 66.61.03.106, 66.61.03.398, დასავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები, 66.61.03.068, 66.61.03.069, 66.61.03.185 ეწოდოს მე-5 ქუჩის II-ჩიხი.
2. განკარგულება რეაგირებისათვის გაეგზავნოს გორის მუნიციპალიტეტის მერს. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფოს ერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რათა განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში მოახდინოს ვებგვერდზე მისი გამოქვეყნება.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი

0 3 6 12 18 მეტრი

მასშტაბი **1:819**

გორის რაიონ სოფელ ბოშურში
გზის სახელდებისთვის
საჭირო სიტუაციური ნახაზი

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა **UTM WGS 38N**

გორის რაიონ სოფელ ბოშურში არსებული გზის გეოგრაფიული მდებარეობის მონაცემები

გზის მონაკვეთის სავარაუდო სიგრძე 122 მ

დასახელება: მე-5 ქუჩის II ჩიხი

კოორდინატები

საწყისი X=411813.0723 Y=4635130.415

საბოლოო X=411854.1886 Y=4635028.1798

გზას ჩრდილოეთით ესაზღვრება:

გზა

სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთები

მდინარე

აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები

66.61.03.441, 66.61.03.106, 66.61.03.398

დასავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები

66.61.03.068, 66.61.03.069, 66.61.03.185